პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

26 დეკემბერი, შაბათი, 1987 წ. № 26 (3028) 26 ДЕКАБРЯ, СУББОТА, 1987 г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**19 დეკემბერს** გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმი, პლენუმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახკომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, ტერიტორიულ-დარგთაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პარტკომების მდივნები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ამოცანები 1988 წლიდან სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოდ საწარმოთა გადაყვანის საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა**.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა **ა. ა. ბლრციანი** გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო და მადლობა გადაუხადა ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთის რედაქტორის პოსტზე.

გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორად დაამტკიცეს **ვ. ვ. ბაიბურთი.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან ცენტრალური კომიტეტის წევრად გადაიყვანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ა. ლაბახუა.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა პარტიის ახალქალაქის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი **ხ. ბ. ხტეფანიანი** სკკპ რიგებში შესვლისას საწესდებო მოთხოვნათა დარღვევისათვის, კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. თ. კარაჩკოვი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ბ. ა. მალკოვი.**

(საქინფორმი).

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

24 декабря состоялось заседание коллегии МВД ГССР.

На коллегии с информациями «О работе руководителей, политаппарата системы МВД ГССР по улучшению оперативно - служебной деятельности, повышению авторитета органов внутренних дел республики и задачах на 1988 год» и «Об утверждении планов основных организационных мероприятий МВД ГССР на 1988 год и работы коллегии министерства на I полугодие 1988 года» выступил начальник оргинспекторского отдела МВД ГССР подполковник милиции К. Буджнашвили.

Члены коллегии заслушали информации старшего инструктора группы пропаганды и агитации политического отдела МВД ГССР капитана милиции В. Цагарейшвили «О недостатках в работе по борьбе с пьянством среди личного состава органов внутренних дел республики» и «О серьезных недостатках в работе по предотвращению дорожно-транспортных происшествий среди личного состава МВД ГССР».

На коллегии была заслушана информация заместителя министра внутренних дел Грузинской ССР полковника милиции Т. Сидамонидзе «О деятельности комиссии МВД ГССР по координации работы по обеспечению социалистической законности в органах внутренних дел республики», рассмотрены также вопросы профессиональной подготовки личного состава органов и подразделений внутренних дел республики за 1987 год (докладчик — заместитель начальника УК МВД ГССР майор милиции Р. Хубулия), соблюдения режима секретности и конспирации в подразделениях МВД ГССР (начальник Секретариата МВД ГССР полковник внутренней службы И. Барский) и состояния дисциплины и соцзаконности в органах и подразделениях внутренних дел республики за 11 месяцев нынешнего года в свете требований МВД СССР и МВД ГССР (начальник ИЛС УК МВД ГССР подполковник милиции О. Мачарашвили).



## სტუმრად სკოლაში

ამ დღეებში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი შ. გორგოძე დედაქალაქის № 161-ე საშუალო სკოლას ეწვია. შეხვედრის ინიციატორი სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პრობლემების შემსწავლელი სექცია (ხელმძღვანელი, პროფესორი მ. დარჩია) იყო. სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა მას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. გაიმართა გულახდილი საუბარი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის შემდგომი აღზრდის პრობლემებზე, კერძოდ მოსწავლეთა სამართლებრივი დონის ამაღლების, სკოლისა და ოჯახის, მშობელთა პასუხისმგებლობის, ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის, არასრულწლოვანთა უბნის ინსპექტორებისა და სკოლის კავშირის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ისაუბრა რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა ხაზით ოპერატიული ვითარების ტენდენციებზე, იმ პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღკვეთის მიზნით. ხაზი გაუსვა ნარკომანიის, ქურდული ტრადიციისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდებთან მუშაობას. ილაპარაკა სისტემაში გარდაქმნის პირველ ნაბიჯებზე. მართებულად მიიჩნია არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორთა ახლო თანამშრომლობა სკოლასთან, რომ მხოლოდ რეიდებით არ უნდა ამოიწურებოდეს მათი კონტაქტები.

შემდეგ მინისტრმა პასუხი გასცა მოსწავლეთა მშობლებისა და მასწავლებელთა შეკითხვებს.

დასასრულს, მოსწავლეებმა პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად გულითადი მადლობა გადაუხადეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძეს საუბრისათვის და საპატიო სტუმარს თავიანთი ხელოვნებაც აჩვენეს.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

21 декабря состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел Грузинской ССР генерал-майор внутренней службы Ш. Горгодзе.

В ходе совещания были заслушаны информации начальника оргинспекторского отдела министерства подполковника милиции К. Буджнашвили «Об оперативной обстановке в республике за 20 дней декабря 1987 года», начальника ФПО МВД ГССР полковника внутренней службы К. Ледякова «О результатах ревизии финансово-хозяйственной деятельности МВД ГССР» и старшего юрисконсульта Секретариата министерства капитана милиции А. Гинера «О состоянии транспортной работы в подразделениях УИТУ МВД ГССР за 9 месяцев 1987 года» в плане выполнения решения оперативного совещания при министре внутренних дел республики от 3 ноября 1986 года.

На оперативном совещании руководящие работники министерства заслушали отчет заместителя начальника Гардабанского РОВД подполковника милиции Г. Петриашвили о работе, проделанной по организации деятельности общественных пунктов охраны порядка.

## НАГРАЖДЕНИЯ

Приказом министра внутренних дел Грузинской ССР в связи с 70-летним юбилеем органов ВЧК — КГБ Почетными грамотами МВД ГССР награждены:

— подполковник **Вардanашвили Тариел Николаевич** — начальник Управления уголовного розыска МВД ГССР;

— полковник **Ломтадзе Гурам Анатольевич** — заместитель министра внутренних дел Аджарской АССР;

— полковник **Хведелидзе Гюза Ясонович** — старший референт министра внутренних дел ГССР;

— полковник **Ходжава Георгий Владимирович** — начальник Управления исправительно - трудовых учреждений МВД ГССР;

— полковник **Цинцадзе Ираклий Владимирович** — заместитель начальника Следственного управления МВД ГССР;

— генерал-майор **Чулков Михаил Александрович** — министр внутренних дел Абхазской АССР.

Приказом министра внутренних дел Грузинской ССР за большой личный вклад в развитие советского футбола и в связи с юбилейной датой со дня рождения Почетными грамотами МВД ГССР и ценными подарками награждены бывшие игроки команды мастеров тбилисского «Динамо»:

— **Датунашвили Илья Ильич;**

— **Котрикадзе Сергей Парменович;**

— **Месхи Михаил Михайлович;**

— **Метревели Слава Калистратович;**

— **Элошвили Владимир Сергеевич.**

# «КОМПЛЕКС» ИДЕТ В НАСТУПЛЕНИЕ

«Комплекс» — это кодовое название проходящих сейчас в нашем городе предупредительно - профилактических мероприятий, направленных на укрепление в столице республики социалистической законности и правопорядка. Девиз операции точно отражает ее суть — наступление против нарушений разворачивается сразу по всем фронтам, идет по всем направлениям. Под прицел берутся не только противоправные действия, но и причины, их порождающие, криминогенная обстановка, в которой возможны нарушения закона, выискиваются щели, в которые забивается зло.

Специально созданные группы в составе оперативников, сотрудников госавтоинспекции, участковых, других служб милиции, активистов из числа общественности с раннего утра до глубокой ночи будут патрулировать улицы города, заходить в каждый двор, в дома, где не все благополучно, выявлять тунеядцев, алкоголиков, наркоманов, расхитителей соцсобственности, спекулянтов, нарушителей паспортного режима, хулиганов и т. д. и т. п.

Что побудило нас задействовать вдруг все рычаги, проводить столь многоплановые, масштабные профилактические мероприятия? На днях в Тбилисском городском комитете Компартии Грузии состоялось совещание, на котором обсуждалось состояние оперативной обстановки в городе. И хотя по отдельным показателям она, по сравнению с прошлым годом, несколько улучшилась или остается стабильной, тем не менее ее нельзя назвать благополучной. В общем объеме правонарушений все еще значителен удельный вес таких, как преступления, направленные против личности, здоровья, жизни граждан.

Статистика свидетельствует: большое число правонарушений совершается людьми в состоянии опьянения. Проиллюстрирую сказанное недавним трагическим случаем.

Недавно на территории книжной фабрики № 2 произошло убийство на почве пьянства. Спиртное распивали здесь же, на фабрике. Печатник Леван Степнадзе, 1956 года рождения, ранее судимый за хулиганство, во время ссоры с работником этого же предприятия Виталием Цуцкиридзе нанес ему ножевое ранение в область живота. Цуцкиридзе доставили в первую клиническую больницу. Врачи делали все возможное, чтобы спасти его, но к утру он скончался.

Можно привести немало примеров, когда пьянка приводит к дракам, дебошам, поножовщине. Вот почему операция «Комплекс» особый акцент делает на борьбу с пьянством и алкоголизмом. И тут без помощи общественности нам не обойтись. Пьянство, как известно, из общественных мест перекочевало в дома, спряталось в стенах квартир. Кстати, такая «миграция» тут же отразилась и на «географии» правонарушений. Количество убийств, совершаемых в домах, возросло, а на улицах — снизилось. То же самое произошло и с покушениями на убийство. Как же бороться с домашним пьянством? Понятно, в каждом доме милицейский пост не установишь. Но участковые, работники ЖЭУ обязаны знать, где, в какой семье взрывоопасная обстановка, и, соответственно, вести профилактическую работу. Однако и те, и другие подчас проявляют непозволительную пассивность, инертность.

Слабо работают и пункты охраны общественного порядка при жилищно - эксплуатационных участках — не владеют обстановкой на местах, не активизируют общественность в борьбе за утверждение порядка в микрорайоне, не контактируют с участковыми, зачастую поверхностно и халатно рассматривают сообщения о конфликтах в семьях, между соседями. Как в основном производится проверка заявлений? Взял объяснение, подшил к делу и успокоился. Ни тревоги, ни сомнений! Этим грешит и работа участковых. Их образно называют полномочными представителями власти на местах. Считаю, тут нет никакого преувеличения, ибо через них, участковых, осуществляются основные милицейские функции по охране общественного порядка и борьбе с преступностью и малейшая недоработка по любой позиции оборачивается крупными потерями в правоохранительной работе.

Есть у нас претензии и к дружинникам — добровольным помощникам милиции. За последнее время в деятельности этих общественных формирований заметно снизилась активность, зато толще стал налет формализма.

В период проведения «Комплекса» мы испробуем на практике новый метод работы — совместное патрулирование. За каждой группой дружинников закрепляются работники правоохранительных органов, и вместе они будут нести вахту на улицах города, в общественных местах. Думаю, такое взаимодействие органов внутренних дел с дружинами позволит поднять работу формирований на более высокий, качественный уровень, усилить их вклад в общенародное дело.

В операции «Комплекс» задействовано максимальное количество личного состава Тбилисского гарнизона. Создан городской штаб по руководству и координации сил, а также районные штабы во главе с первыми руководителями РОВД. Все мероприятия проводятся в тесном контакте с райкомами партии, райисполкомами.

**В. ГВАРАМИЯ,**
полковник милиции, заместитель начальника УВД Тбилгорисполкома.
(Печатается с сокращениями).

აღმოვფხვრათ ლოთობა-ალკოჰოლიზმი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში — ამგვარად აყენებს დღეს ამოცანას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. განსაკუთრებული როლი და ადგილი ამ ბრძოლაში ყოველთვის ენიჭებოდა და ენიჭება სამართალდამცავ ორგანოებს.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასმული ამოცანის პრობლემურობა, მისი აქტუალურობა და მნიშვნელობა კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შს სამმართველოში. აქ მიმდინარე წლის 11 თვეში მოსახლეობიდან ამოღებულია 1040 ლიტრი შინნახადი არაყი, 170 შინნახადი არაყის დასამზადებელი აპარატი.

ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შს სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებლის კოლექტივს (უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. თევზაძე). აქ 11 თვის მონაცემებით მოთავსებულია 2361 პირი, რომელთაგან ნახევარზე მეტი გამოვლენილია თვით გამოსაფხიზლებლის მუშაკთა მიერ.

აქტიურად მუშაობს სამედიცინო გამოსაფხიზლებლის პროფილაქტიკის კაბინეტი (უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. ლომიძე, ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი რ. ბარბაქაძე), სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფილაქტიკური საუბრების ჩატარებას, დგინდება მათი დემოგრაფიული მონაცემები, ანალიზი უკეთდება თუ სად, რა ვითარებაში, რომელ საათზე და ა. შ. — მოხდა ალკოჰოლური სასმელების მიღება.

ქალაქში ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის მსხვილ წარმოება-დაწესებულებებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტებში სისტემატიურად ტარდება საუბრები ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მავნებლობის შესახებ, ეწყობა ახსნა-განმარტებითი საუბრები და კითხვა-პასუხის საღამოები.

შს სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის მიმდინარე წელს სამედიცინო გამოსაფხიზლებლის 23 მუშაკი წახალისდა. ღირსეულად შეაფასა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის აქ გაწეული საქმიანობა შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ, როდესაც რესპუბლიკის სამედიცინო გამოსაფხიზლებლების კოლექტივებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ქუთაისის შს სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებლის კოლექტივი სიგელითა და გარდამავალი ვიმპელით დააჯილდოვა.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და საერთოდ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქუთაისის შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურს. (უფროსი, მილიციის კაპიტანი ზ. კუბლაშვილი), რომლის მუშაკთა მიერ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მიმდინარე წელს მოთავსებულია 670-ზე მეტი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირი, ალკვეთილია საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი 92 მძღოლი, მოსახლეობიდან ამოღებულია 190 ლიტრი შინნახადი არაყი და 25 არაყის დასამზადებელი აპარატი, გამოვლენილია არაყის შინ დამზადების 2 ფაქტი, აღკვეთილია საერთო საცხოვრებლების ეზოებსა და სკვერებში ალკოჰოლური სასმელების მიღების არაერთი შემთხვევა.

## ხოცშეჯიბრში გამარჯვებულნი

# კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ

ამ სამსახურის თანამშრომლების მიერ გაწეული მუშაობის შედეგია, რომ იკლო სიმთვრალის ნიადაგზე ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულებათა რიცხვმა. განსაკუთრებით გამოირჩევა ქვედანაყოფი (უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. ნურეშიძე), რომელიც ძირითადად კომკავშირლებითაა დაკომპლექტებული. კარგად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას მილიციელები ჯ. სვანიძე, გ. ადეიშვილი, მ. ფურცხვანიძე, შ. ჯეჯელავა და სხვები.

მნიშვნელოვანია საპატრულო-საგუშაგო სამსახურის წვლილი ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეშიც. მიმდინარე წელს მათ მიერ და ასევე თანამონაწილეობით გახსნილია რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაული, დაკავებულია ადგილობრივ ძებნაში მყოფი 2 პირი, გამოვლენილია 42 წვრილმანი სპეკულანტი და 27 წვრილმანი ხულიგანი, 8 პირი, რომლებიც ეწეოდნენ აკრძალულ შინარეწვას.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მიღწეული წარმატებებისა და მუშაობაში არსებული მაღალი მაჩვენებლებისათვის ქუთაისის შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახური საბჭოთა მილიციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, როგორც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული დანაყოფი შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით და ვიმპელით.

**გ. ზივზივაძე,**
ქ. ქუთაისის შს სამმართველოს პოლიტიკური ნაწილის უფროსი, მილიციის მაიორი.

# ПОВЫШАЯ УРОВЕНЬ ЗНАНИЙ

Постоянное повышение уровня политических и экономических знаний профсоюзных активистов играет важную роль в совершенствовании и перестройке стиля и методов работы профсоюзных организаций. Именно этой цели был посвящен состоявшийся 22 декабря в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского однодневный семинар, в котором приняли участие около семидесяти председателей профкомов и ревизионных комиссий системы МВД ГССР.

Семинар вступительным словом открыл председатель Объединенного комитета профсоюзных организаций министерства Е. Теплицкий. Затем с докладом «О задачах профсоюзных организаций по выполнению решений XVIII съезда профсоюзов СССР» перед участниками семинара выступил председатель РК профсоюза работников госучреждений республики О. Менабде.

В ходе семинара были рассмотрены наиболее актуальные вопросы современной экономической стратегии партии, перестройки хозяйственного механизма страны.

Большой интерес участников семинара вызвала лекция заведующего лабораторией Центра по повышению квалификации партийных, советских и хозяйственных руководителей при ЦК КП Грузии доктора экономических наук Г. Папава, в которой были детально проанализированы принципы хозрасчета, самофинансирования, самоокупаемости и самоуправления, перехода на новые условия оплаты и премирования труда. Были рассмотрены также вопросы трудового законодательства и организационно-практической работы профкомов в условиях перестройки.

«Как известно, в ходе состоявшейся в августе-октябре нынешнего года отчетно-выборной кампании, отличительной чертой которой явилось укрепление демократических начал в подготовке и проведении собраний, значительно обновился состав председателей профсоюзных организаций и ревизионных комиссий министерства, — рассказывает председатель ОК профсоюзных организаций МВД ГССР Е. Теплицкий, — Проведенный семинар был очень полезен для вновь избранных профсоюзных активистов, позволил им пополнить багаж теоретических и практических знаний, что особенно важно в преддверии перехода ряда организаций и учреждений министерства на новые методы хозяйствования».

**А. ЛЬВОВ.**

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ რაც ბარდუს პაპოიანი შინაგან საქმეთა ორგანოებში მოვიდა სამუშაოდ. ამ ხნის მანძილზე მის პროფესიულ მომზადებაზე დამოკიდებული იყო ადამიანთა ჯანმრთელობა. ბ. პაპოიანი სამედიცინო განყოფილების სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლია და დღესაც კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მის კეთილშობილებაზე და პასუხისმგებლობის დიდ გრძნობაზე პატივისცემითა და მადლიერებით ლაპარაკობენ პოლიკლინიკის უფროსი ტ. ჩიტაია, მისი მოადგილე ს. გალუსტოვი და ყველა ის, ვინც იცნობს ბ. პაპოიანს.



## ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ჩვენი გაზეთის 10 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში (თავი „გამოიჩინეს") ლაპარაკი იყო შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტებზე. ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით ახლახან პასუხი მივიღეთ საქართველოს სსრ შს სამინისტროს საბჭოთა და პარტიული ორგანოების დაცვის განყოფილებიდან.

მოგახსენებთ, რომ ა/წლის 10 ოქტომბერს „მებრძოლ გუშაგში" გამოქვეყნებული სტატია სინამდვილეს შეეფერება. მძღოლს, მილიციის უმცროს სერჟანტს ქუნთელიას გამოეცხადა უკანასკნელი გაფრთხილება. ა/წლის 30 სექტემბერს მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის. განმეორების შემთხვევაში დაისჯება უფრო მკაცრად.

**ა. კუჭავა,**
საქ. სსრ შსს საბჭოთა და პარტიული ორგანოების დაცვის მილიციის განყოფილების მე-2 ქვედანაყოფის უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

# УГАИ МВД ГССР—НА ПУТИ ПЕРЕСТРОЙКИ

## ПРАВОФЛАНГОВЫЕ

### УГАИ МВД ГССР



Высокий профессионализм и целеустремленность отличают работу заместителя командира подразделения ДПС УГАИ МВД ГССР майора милиции Э. Карелишвили. Совсем недавно за заслуги в охране общественного порядка и в связи с 70-летием советской милиции ему была вручена Почетная грамота МВД СССР.



С должности рядового начинал в 1971 году службу в органах внутренних дел республики командир подразделения ДПС УГАИ МВД ГССР старший лейтенант милиции К. Саакашвили. Ныне коммунист К. Саакашвили — один из лучших командиров подразделений, его послужной список украшают 24 благодарности.



Всегда четко и целеустремленно выполняет свои служебные обязанности инспектор Душетского ММВ ДПС УГАИ МВД ГССР сержант милиции Д. Халибаури. Его добросовестная и энергичная работа отмечена 5 благодарностями и поощрениями руководства.

გ. ცინცაძე:

## „ენერგიული, პრინციპული მუშაობით წარმატებას მივაღწევთ"

კაბინეტში შესვლისთანავე სამუშაო ატმოსფეროში მოხვდებით. შეიძლება რამოდენიმე წუთს ყურადღებაც კი ვერ მოგაქციონ, მაგრამ ნუ იფიქრებთ თქვენს მასპინძელს სტუმართმოყვარეობის ადათწესები დავიწყნიაო, არა ეს ასე არ არის, ეს მხოლოდ მოჩვენებითია, რადგან ის სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც მილიციის პოლკოვნიკი გიორგი ცინცაძეა, უამრავი პრობლემების წინაშე აყენებს მას, ყოველდღიურად მთელი მობილიზებით მუშაობას მოითხოვს და ეს რომ მართლაც ასეა ჩვენი იქ ყოფნისას დადასტურდა.

პირველი სატელეფონო ზარი რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილეს ოთარ მხეიძეს ეკუთვნოდა. საუბარი როკის გვირაბსა და როკის გზის მდგომარეობას შეეხო, შემდეგი ერთ-ერთი დიდი საწარმოს ხელმძღვანელისა იყო — მანქანებს ვაგზავნით ჭვრის უღელტეხილით და მოძრაობის საშუალება თუ არისო... ხელექტორში მდივნის ხმა გაისმა — ბატონო გიორგი მოქალაქეა მოსული, ჩემი შვილი რაიონშია წასული და გუშინ უნდა დაბრუნებულიყო, ძალიან გთხოვთ გამიგეთ ხაშური-გორის გზატკეცილზე, რამე ავარია ხომ არ მომხდარაო... სელექტორის მეორე სიგნალი სამორიგეო ნაწილიდან იყო — ამხანაგო პოლკოვნიკო, გუშინ 20 საათზე თბილისის ზღვაზე ორი ავტომანქანა „ჟიგული" ერთმანეთს შეეჯახა, ერთ-ერთში, რომლის სახელმწიფო ნომერია ს 78 41 გა და მართვის მოწმობის გარეშე, არაფხიზელ მდგომარეობაში საჭეს უჯდა ბესარიონ ჯანაშვილი კიდევ სამი მგზავრი იმყოფებოდა, აქედან ორი მანდილოსანი ჩვენი ქალაქის სტუმარი, ოთხივე საავადმყოფოშია მოთავსებული. მასალები მოსაკვლევად ქალაქის ავტოინსპექციაშია გაგზავნილი...

ავტოინსპექციის მუშაობა მართლაც რთული, დაძაბული და მრავალწახნაგოვანია...

**— ბატონო გიორგი, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჰგონია, რომ ავტოინსპექტორთა უფლება-მოვალეობანი მხოლოდ ქუჩაში დგომით და მოძრაობის რეგულირებით განისაზღვრება...**

— სამწუხაროდ თქვენ მართალი ხართ, მაგრამ უფრო სავალალოა ის, რომ ზოგიერთმა შს ორგანოების წარმომადგენლებმაც და თვით ავტოინსპექტორთა რიგმა ნაწილმაც არ იცის, თუ რამხელა უფლება-მოვალეობანი აკისრია ჩვენს სამსახურს. ეს მაშინ როდესაც თითოეულმა ადამიანმა პირველ რიგში უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობანი და ძალას, ენერგიასა და ცოდნას არ იშურებდეს მის განსახორციელებლად. მე ახლა გეტყვით ჩვენი სამსახურის ერთ-ერთ ძირითად პუნქტს: უსაფრთხოების თავიდან აცილების მიზნით ავტოინსპექცია ზედამხედველობას უწევს ყველა სამინისტროსა და უწყებების ღონისძიებებს, თუ მათ სამშენებლო სამუშაოებს, ყველა სპორტულ ღონისძიებას, აღარ ვლაპარაკობ ქუჩებსა და მოედნების რეკონსტრუქციებზე, გზატკეცილებისა და პროსპექტების სარემონტო სამუშაოებზე და ა. შ. მაშასადამე ჩვენმა თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ ის, თუ როგორ ენდობა მათ პარტია და ხალხი, მოვალეობის რამხელა ტვირთი აწევს თითოეულ მათგანს. და კიდევ მთავარი — მინდა გავიხსენო ერთ-ერთი ღონისძიება, როდესაც ჩვენ, მოყვარულ მძღოლებს, საზეიმო ვითარებაში გადავცემდით მართვის მოწმობებს. მაშინ სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად მოწვეული გვყავდა სახელოვანი მეცნიერი ავლიპ ზურაბაშვილი, რომელმაც მითხრა: ჩემის აზრით ამ ხალხს, იმ 3 თვის განმავლობაში, რომლის დროსაც თეორიასა და პრაქტიკას ასწავლიან, დავაჯენდი და თითოეულს განუწყვეტლივ გავუმეორებდი, შენ კარგი კაცი ხარ, შენ კაცურ კაცობაზე ბევრია დამოკიდებული, შენ ნამდვილი კაცობით და ნამუსით უნდა იჯდე საჭესთან. დამერწმუნეთ ასეთი ფორმა მნიშვნელოვან ეფექტს გამოიღებდა. მართალია ბატონი ავლიპის ეს წინადადება ჯერ პრაქტიკაში არ გამოიყენება, მაგრამ მე მჯერა რომ მძღოლთა 90 პროცენტი მართლაც სუფთა ნამუსით უზის საჭეს და ასეთ ხალხს მართლაც კაცური მიდგომა და ტაქტი სჭირდება. ასეთი ურთიერთობა კი სწორედ ავტოინსპექტორმა უნდა დაამყაროს, იმან ვინც კონტროლს და ზედამხედველობას უწევს ადამიანის უსაფრთხოებას. ეს უკლებლივ ყველა ჩვენი თანამშრომლის ვალია და პირველ რიგში იმათ საყურადღებოდ ვამბობ ვისაც ახლა ჩვენი მომავალი კადრი ჰქვია.

**— რადგან კადრებზე ჩამოვარდა საუბარი გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი ფრაზა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს". მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ კადრების საკითხი ერთ-ერთი ძირითადია თქვენს დღის წესრიგში.**

— მარტო ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში რესპუბლიკის ავტოინსპექციის რიგებიდან მოხსნილი, დათხოვილი და გადაყვანილი იქნა 101 კაცი, გარკვეული პრობლემის წინაშე გვაყენებს. ამას თუ დავუმატებთ საზოგადოებაში შექმნილ აზრს ზოგიერთი ჩვენი თანამშრომლის არაკომპეტენტურობის, უცოდინარობის, უხეშობის და მექრთამეობის შესახებ, დავრწმუნდებით, რომ კადრების საკითხი ავტოინსპექციაში მართლაც ერთ-ერთი მტკივნეულია. მე არ მინდა ისეთი აზრი შევქმნა თითქოს მართლაც სავალალო და გამოუვალი მდგომარეობაა, აქ მე ვგულისხმობ გარკვეულ ნაწილს, რომელიც ჩირქს სცხებს პატიოსან, სანიმუშო თანამშრომლებს, დღისით და ღამით მათ დაუღალავ, მუხლჩაუხრელ შრომას, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

**— მაგრამ 101 კაცი, ეს არც თუ ისე პატარა ციფრია...**

— პატარა კი არა საგანგაშოა და ძალიან გვაღელვებს, რადგან მის უკან ადამიანები დგანან ოჯახებით, შვილებითა და ა. შ. ჩვენი ძირითადი ამოცანაც იმაში მდგომარეობს რომ, სწორედ და შედეგიანად წარვმართოთ მათთან ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობა, ავამაღლოთ თითოეული მათგანის პროფესიონალიზმი, ინტელექტი, მსოფლმხედველობა და თუ შევამჩნევთ რომ, რომელიმე მათგანი მხოლოდ მზაკვრული მიზნითაა შემოპარული ჩვენს რიგებში ერთიანად გზას ვუღობავთ. მაგრამ რესპუბლიკის რიგ რაიონებში კვლავ ვხვდებით კადრებთან უპასუხისმგებლო მიდგომას. რა აღმზრდელობით სამუშაოზე შეიძლება ლაპარაკი იმ რაიონული მილიციების ხელმძღვანელებთან, რომლებსაც თვეების განმავლობაში რიგოსნებიც კი არა ჰყავთ დაკომპლექტებული. მე თვითონ რესპუბლიკის ყველა რეგიონში შევამოწმე ამ მხრივ მუშაობა და შედეგით სასტიკად უკმაყოფილო ვარ. ვერ გაართვეს ამ მხრივ თავი დაკისრებულ მოვალეობას, რეზერვებთან მუშაობას: გურჯაანის, სიღნაღის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, წალკის, რაიმილიციებმა. ამიტომ ხშირია შემთხვევა, როცა დაკომპლექტება ნაჩქარევია, კადრებს ღებულობენ შეუსწავლელად, სტიქიურად, პროტექციონიზმით, ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ თუ როგორ გვეშველა შექმნილი მდგომარეობისათვის და გადავწყვიტეთ შეგვექმნა სათანადო დებულება ავტოინსპექტორთა რიგების შესავსებად და ჩაგვეტარებინა ღია კონკურსი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა ჩვენმა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, მისმა პოლიტიკურმა განყოფილებამ და პარტიულმა კომიტეტმა.

კონკურსის ჩატარებისას მოვიწვიეთ საზოგადოების წარმომადგენლებიც, კერძოდ, რესპუბლიკის შს სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის უსაფრთხოების სექციის წევრები — მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, მოწინავე მძღოლები. ეს კომპეტენტური ჟიური გამოცდების მსვლელობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მომავალი ინსპექტორების მოძრაობის წესების ცოდნას, ავტომანქანის საფუძვლიან ცოდნას, პოლიტიკურ და საერთო განათლებას, მათ ყოველმხრივ განვითარებას, გარეგნობას. აქ მინდა ავღნიშნო ის რომ, კონკურსში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ 175 სმ და ზევით სიმაღლის მქონე პირები. დღევანდლამდე ასეთი ორი კონკურსი ჩავატარეთ და 400 კანდიდატიდან შევარჩიეთ 48. ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ ეს 48 კაცი საუკეთესო ვარიანტია რომელსაც ჩვენ ვგუ-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ-ზე.)

□

**თბილის-რუსთავის საავტომობილო ტრასაზე ავტომანქანების მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურია და ავტოინსპექციაც დიდ ყურადღებას აქცევს ამ მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვას. მაგრამ არიან მძღოლები, რომელთა გაუმართავი მანქანების გამონაბოლქვი გაზები გარემოს აჭუჭყიანებენ. ამიტომ სპეციალური მოწყობილობებით ხდება მანქანების შემოწმება. სურათზე თქვენ ხედავთ ავტოინსპექციის რუსთავის საგუშაგოზე მანქანების მორიგ შემოწმებას, რომელსაც აწარმოებენ მილიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ხაჩატუროვი, სერჟანტი მ. კარგაძაშვილი და საზოგადოებრივი ინსპექტორი რ. პეტროსიანი.**

**რ. ანტონიანის ფოტო.**

□



## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 17 ноября на посту ГАИ «Коби» инспекторами Душетского ММВ ДПС УГАИ МВД ГССР младшим сержантом милиции Г. Гвритишвили и сержантом милиции Д. Халибаури под руководством командира подразделения старшего лейтенанта милиции К. Саакашвили с целью проверки была остановлена автомашина ГАЗ-24, управляемая С. Елеевым. У находящихся в машине пассажиров, ранее неоднократно судимых Н. Дигана и Х. Айдарова было изъято 3,2 кг. наркотических веществ (анаши). 24 ноября наряд в этом же составе остановил с целью проверки автомашину «Жигули», принадлежащую Г. Алиеву и управляемую без доверенности его сыном Д. Алиевым. У находящейся в автомашине пассажирки И. Кагляк изъято 7,2 грамма анаши, реализатором которой был второй пассажир — Б. Исмаилов. По обоим случаям расследование ведет Казбегский РОВД.

◆ 26 ноября на Руставском шоссе неустановленным автобусом марки «Икарус» был сбит пешеход, водитель с места происшествия скрылся. О случившемся по рации было передано всем постам ГАИ. Благодаря своевременным и умелым действиям инспекторов Гардабанского ММВ ДПС УГАИ МВД ГССР сержанта милиции Г. Продиашвили и рядового Р. Гогилашвили в тот же день был установлен и задержан водитель «Икаруса» З. Палевин, совершивший указанное ДТП.

# В ВОЗДУХЕ — ПОСТ ГАИ

Все более интенсивным становится транспортное движение на автомагистралях республики и, соответственно, возрастает опасность дорожно-транспортных происшествий. Именно в деле создания на дорогах республики безопасной обстановки и четкого контроля за ней большую роль играет работа своеобразных воздушных пунктов ГАИ — вертолетов гражданской авиации с сотрудниками госавтоинспекции на борту.

Многочисленные задачи выполняют эти быстрые и маневренные вертолеты, позволяющие автоинспекторам с высоты птичьего полета четко контролировать обстановку на автомагистралях. Одно их появление над дорогой является важным психологическим фактором, сдерживающим не в меру ретивых водителей, которые, пренебрегая правилами дорожного движения, создают на трассах аварийные ситуации. Работа вертолетных нарядов оказывает, благодаря радиосвязи с наземными передвижными и стационарными пунктами ГАИ, большую помощь в выявлении грубых нарушений правил дорожного движения, скрывшихся с места происшествия водителей, по вине которых произошло ДТП, преступников, угнавших государственный или личный автотранспорт и т. д.

Летом нынешнего года на Хашурской трассе произошла трагедия — автомашиной «Нива» был сбит пешеход, который впоследствии скончался. Поиски скрывшегося с места происшествия водителя наземными средствами не дали результата. Однако машина, замаскированная брезентом в одном из дворов, была обнаружена наблюдением с воздуха нарядом, который возглавлял командир подразделения воздушной госавтоинспекции заместитель начальника отдела ДПС УГАИ МВД ГССР майор милиции Г. Абазадзе.

Эпизодов, подобных этому, немало в служебной биографии подразделения, в составе которого бдительно несут службу старшие лейтенанты милиции Д. Нижарадзе, Р. Хачатуров, К. Саакашвили, рядовые Л. Бедукидзе, П. Кочорашвили, летчики гражданской авиации О. Харабадзе, П. Манукян, Ш. Даргуашвили. Их четкая и слаженная работа во многом способствует снижению числа ДТП на дорогах республики.

А. ЦАТУРОВ.

# 60 ЛЕТ В СТРОЮ




На днях в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского состоялся торжественный вечер, посвященный юбилею лауреата премии Ленинского комсомола Грузии, заслуженного коллектива республики—духового оркестра МВД ГССР. Чествовать юбиляров пришли в этот вечер ветераны партии, войны и труда, сотрудники органов внутренних дел республики, члены их семей. За большие творческие заслуги и в связи с юбилейной датой коллективу оркестра была вручена Почетная грамота МВД ГССР. Много было в этот вечер теплых слов, напутствий, собравшиеся желали членам оркестра укреплять и развивать славные творческие традиции коллектива и в дальнейшем приносить людям радость своим светлым и прекрасным искусством.



# „ენერგიული, პრინციპული მუშაობით წარმატებებს მივაღწევთ“

(დასასრული.)

ლისხმობდით, მაგრამ საფუძვლიანად და ობიექტურად ჩატარებულმა გამოცდებმა დაგვარწმუნა, რომ მათი საერთო დონე მნიშვნელოვნად მაღალია არსებულზე, რომ მნიშვნელოვან ძვრებს მივაღწიეთ. ასე თუ ისე გარკვეული მუშაობის ჩატარება კვლავ მოგვიხდება, ჯერჯერობით კი კმაყოფილნი მაინც ვართ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, იმ რაიონებისა თუ ქალაქების არასერიოზული დამოკიდებულება ამ კონკურსის მიმართ, რომლებმაც ან საერთოდ არ გამოგზავნეს კანდიდატები, ან თუ გამოგზავნეს ყოვლად მოუმზადებლად და მხოლოდ მოვალეობის მოხდით. ეს განსაკუთრებული მსჯელობის საგანია და ამ საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. მომავალი კონკურსის ჩატარებას ჩვენ 15 იანვრისათვის ვაპირებთ, იმედია ამ დროისათვის მდგომარეობა რიგ რაიონებში გამოსწორდება.

**— ბატონო გიორგი, თქვენ ზემოთ დაგვპირდით, რომ...**

— დიახ, დიახ, მე მინდოდა, რომ დადებითით დამეწყო, მაგრამ ის რაც მტკივნეულია, ის რაც გაწუხებს ალბათ პირველად უნდა თქვა. მიუხედავად ამისა ვერ ავუვლით გვერდს იმ ათასობით მოქალაქეთა მადლობის წერილებს, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ, იმ ავტოინსპექტორთა, ძილგატეხილ, დაუღალავ მუშაობას წვიმაში, ქარში თუ პაპანაქება სიცხეში, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან არჩეულ პროფესიას, არ ბღალავენ მუნდირის ღირსებას. არა ერთი შემთხვევის მოწმენი ვართ, როდესაც ჩვენი ავტოინსპექტორები ხელდახელ ყოფილან ჩაბმული ბანდიტების, თუ ნარკომანების, სპირტიანი სასმელების გამსაღებელთა თუ სპეკულანტებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. მინდა დავისახელოთ ზოგიერთი იმათგანი, ვინც ღირსეულად ატარებს საბჭოთა მილიციელის, ავტოინსპექტორის სახელს: რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოს საგზაო-ზედამხედველობის უფროსი ინჟინერი, მილიციის კაპიტანი თამაზ ჯიქია, ცალკეული ქვედანაყოფის ხაშურის ოცეულის საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მერაბ ხაჩიძე, ქ. მაიაკოვსკის რაიონული განყოფილების საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზურაბ ლაბაძე, ცალკეული ქვედანაყოფის ქუთაისის ოცეულის საგზაო სამსახურის ინსპექტორი, მილიცის სერჟანტი თამაზ ქათამაძე და სხვანი.

დაძაბული და დაუღალავი შრომის შედეგია ის რომ, როგორც სატრანსპორტო, ასევე დასახიჩრებისა და სიკვდილიანობის შემთხვევები ბოლო 4 წლის მაჩვენებლებით კლებულობს. კარგად იმუშავეს აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ბოგდანოვკის, გორის, ახმეტის, დუშეთის, ლენტეხის, რუსთავის, მაიაკოვსკის, ბოლნისის ავტოინსპექციის წარმომადგენლებმა, ცალკეული დივიზიონის დუშეთის, ქუთაისის, სამტრედიის ოცეულებმა.

**— და მაინც, გარკვეული ნაკლოვანებები აღმოსაფხვრელი რჩება, სამუშაო კვლავ ბევრია...**

— მართალია და ჩვენ ფარხმალის დაყრას არც ვაპირებთ. მთელი სიმკაცრით ვაკრიტიკებთ ახალციხის, ზუგდიდის რაიონის, ჩოხატაურის, მცხეთის, მარნეულის, ლანჩხუთის რაიონული მილიციების მუშაობას, რომლებმაც დაუშვეს ძირითადი მაჩვენებლების ზრდა, მთელი რიგი ნაკლოვანებებია ცხაკაიას, აბაშის, ადიგენის, ბოლნისის [illegible], გურჯაანის, ზესტაფონის, [illegible] ხის, მარნეულის, [illegible], თიანეთის, სიღნაღის, თერჯოლის, ტყიბულის, წალენჯიხის, წყალტუბოს რაიმილიციების მუშაობაში. მეტს ველოდით თბილისისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ავტოინსპექციების მუშაკებისაგან.

ცალკე უნდა აღინიშნოს სარეგისტრაციო საგამოცდო ქვედანაყოფების მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაკლოვანებებზე სერიოზული მსჯელობა იყო საქართველოს კომპარტიის ცკ ბიუროზე, რიგი ქალაქების ამ სამსახურებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, ეს ეხებათ: ფოთს, მახარაძეს, სიღნაღს, ცხინვალს და სხვა რაიმილიციებს.

ასე რომ სურათი თქვენთვის ნათელია, სამუშაო მართლაც დიდია. მიუხედავად ამისა მე მჯერა, რომ ჩვენი ენერგიული პრინციპული მუშაობით მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწევთ.

**P. S. ამ ინტერვიუსთვის შეიძლებოდა სხვა სათაური „შეწყვეტილი ინტერვიუც“ გვეწოდებინა, რადგან ავტორის მეორე ნაწილის დაწერა რამოდენიმე დღის მერე მოუხდა. პირველი შეხვედრის დროს ბატონ გიორგი სასწრაფო საქმეზე ვერტმფრენით ვანში გაემგზავრა — ავტობუსი გადაბრუნდა და მე თვითონ თუ იქ არ წავედი, მდგომარეობა არ შევამოწმე, ვერ მოვისვენებო. ასე რომ საუბრის განახლება ორი დღის შემდეგ მოხერხდა. რატომ მოვიყვანეთ ეს ფაქტი? მე მგონი ეს ფაქტი, კიდევ ერთი დასტურია იმ დაძაბული, რთული და პასუხსაგები სამუშაოსი, რითაც ყოველდღიურად ცხოვრობს რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი გიორგი ცინცაძე.**

ზ. გომართელი.

სპორტი ◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦◦ СПОРТ

# მოწინავე პოზიციებზე

**ფოთის** დამოუკიდებელ გასამხედროებულ სახანძრო ნაწილში სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით პოპულარულია სახანძრო-გამოყენებითი სპორტი.

ფოთში სახანძრო-გამოყენებით სპორტს დიდი ისტორია აქვს. მისი სულისჩამდგმელია რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის პირველი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული, სპორტის ოსტატი გივი ბუკია, რომელიც ამჟამად ფოთის გუნდს წვრთნის. გუნდი შევსებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენებით, რომლებიც გამოირჩევიან, როგორც ხანძარზე ბრძოლისუნარიანობით, ასევე სახანძრო გამოყენებით სპორტშიც. ამ ბოლო დროს ნაწილის გუნდი მონაწილეობს რესპუბლიკის ჩემპიონატებში, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ შეჯიბრებებზე და საპატიო მეორე ადგილს იკავებს. გუნდში გამოირჩევიან: მეხანძრეები, სპორტის ოსტატები თ. კიზირია, ზ. ჩაკვეტაძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატები: ე. ფილიმონოვი, წ. შეროზია, და სხვა. ეს სპორტსმენები საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები არიან სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

ნაწილის პირადი შემადგენლობა სახანძრო-გამოყენებით სპორტთან ერთად ჩაბმულია სპორტის სხვადასხვა სახეობაში: იმართება ნაწილის პირველობა ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ჭადრაკში. ნაწილში ყველაზე დიდი წარმატებები სპორტში აქვთ ყარაულის პირად შემადგენლობას, რომლის უფროსია შ/ს უფროსი ლეიტენანტი ვ. სერბინი.

ფოთში სპორტის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს ქალაქის ხელმძღვანელობა, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინ მხარი დაუჭირა წამოწყებას, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობის შესახებ. ნაწილის ხელმძღვანელობამ, პირადმა შემადგენლობამ იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით ნაწილის ტერიტორიაზე აეშენებინა, მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი მის მშენებლობაში აქტიური დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივმა ორგანოებმა. ამჟამად სპორტული კომპლექსი მწყობრშია. იგი გადაიქცა პირადი შემადგენლობის გამაჯანსაღებელ კერად.

რ. წულაია,
ფოთის 29-ე სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, შ/ს უფროსი ლეიტენანტი.

# მალხაზ ბერუაშვილი — აბსოლუტური ჩემპიონი

**ბორჯში** გაიმართა სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობა სამბოში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ [illegible]ნამოელები — თბილისელი მ. ბერუაშვილი და სიმფეროპოლელი ევროპის ჩემპიონი ვ. ხერლიუკოვი. თბილისელმა ხუთად დაამარცხა მეტოქე და პირველად მოიპოვა საპატიო ტიტული. ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ ასევე „დინამოს“ წარმომადგენლები მ. გამზათხანოვი და ი. ჯიხოშვილი.



# КРЕПНУТ ДЕЛОВЫЕ КОНТАКТЫ

За последнее время все шире и крепче становятся творческие связи коллектива Тбилисского факультета МВШМ МВД СССР с подшефными средними школами Глданского района столицы Грузии. Под руководством комитета комсомола факультета и при активном участии комсомольцев школ слушатели факультета проводят вечера вопросов и ответов, конкурсы и викторины, дискотеки.

Особое внимание уделяется правовой пропаганде среди школьников. Преподаватели и старшекурсники факультета проводят с подшефными лекции и беседы, рассказывают о принципах и гуманности советского законодательства, значении права для нормального развития государства.

Недавно преподаватель кафедры уголовного права, уголовного процесса и криминологии майор милиции Б. Салуквадзе провел в подшефной 79-й средней школе лекцию на тему «Что такое закон и законность». На ней присутствовало свыше 100 учащихся 9, 10, 11 классов. По отзывам педагогического коллектива, лекция прошла с большим успехом.

П. ФЕДОТОВ,
слушатель I курса Тбилисского факультета МВШМ МВД СССР.



**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა შეხვედრა მინიატურების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, რესპუბლიკის სახალხო არტისტთან თ. ჩანტლაძესთან. იგი ხშირად გამოდის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების წინაშე, მწარედ ამათრახებს ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. ბოლო შეხვედრამაც ახალი წარმატება მოუტანა მსახიობს, რომელიც მაყურებლით სავსე დარბაზმა ტაშით დააჯილდოვა. შეხვედრის შემდეგ თ. ჩანტლაძეს გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი.

# МЕЧТАЕТ О ПОБЕДЕ ПОЖАРНЫЙ

Пожарный из итальянского местечка Беллуно Маурильо де Золт мечтает о золотой олимпийской награде на зимних Олимпийских играх-88. Она тем более желанна, что 37-летний лыжник, чемпион мира в 50-килеметровой гонке, намерен в Калгари поставить точку в своей спортивной карьере.

— Меня обычно ждут не дождутся дома трое детей — семья, которую редко приходится видеть из-за постоянных сборов и соревнований, — говорит чемпион мира.

Кстати, победа де Золта на соревнованиях в Оберстдорфе удивила многих, но не самого спортсмена, ибо его девиз: «Если спортсмен чего-то очень хочет и делает все для достижения этого, то добивается».

Де Золт с целеустремленностью и упорством готовится к олимпийским стартам. А помогает ему финский тренер Ярмо Пунккинен, работавщий с итальянской сборной. Вместе они составили план олимпийской подготовки, которого пожарный из Беллуно неукоснительно придерживается.

На какой дистанции выступит мировой чемпион на Олимпиаде? «Пожалуй, в марафоне, — говорит Маурильо, — ибо там элемент везения больше, чем на других трассах». А в свою звезду де Золт верит.

«К середине февраля я буду в оптимальной форме, — считает он. — И тогда мне никто из соперников не страшен».

(ТАСС).

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23 ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი
ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 15438